

<https://soap.org/education/provider-education/expert-summaries/interim-considerations-for-obstetric-anesthesia-care-related-to-covid19/>

Interim Considerations for Obstetric Anesthesia Care related to COVID19

სამედიკინო ანესთეზია COVID-19 ინფექციის მქონე ქალებში - შუალედური რეკომენდაციები

დოკუმენტი მოიცავს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფების, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის (აშშ) ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს.

მოცემული დოკუმენტი მიმართულია COVID – 19 ვირუსული ინფექციის მქონე /ან საეჭვო მშობიარე ქალის საანესთეზიო დახმარების გაუმჯობესებისკენ.

ორი სიტყვით მშობიარეთა შესახებ

იზრუნეთ პრე-პოსპიტალურ სკრინინგზე:

- თუ ფეხმძიმე ქალის მდგომარეობა სტაბილურია და მასთან შესასრულებელი პროცედურა ელექტიური ხასიათისაა (გეგმიური მშობიარობა, მშობიარობის გეგმიური ინდუქცია, გეგმიური საკეისრო კვეთა), სჯობს მას დაუკავშირდეთ პროცედურამდე ერთი დღით ადრე და შევავსოთ კითხვარი COVID-19 ინფექციის სიმპტომების გამოსავლენად. ასევე სასურველია გამოიკითხოთ დამხმარე პირი (თანმხლები პირი, რომელიც დაესწრება მშობიარობას)

პერსონალისა და აღჭურვილობის მომზადება:

- შეადგინეთ იმ ადამიანების სია, ვინც დაესწრება მშობიარობას, საკეისრო კვეთას. შეეცადეთ მინიმუმამდე დაიყვანოთ სამანიპულაციო სივრცეში მყოფი ადამიანების რიცხვი.

- ნეონატალური რენიმაციის გუნდთან ერთად დაგეგმეთ დედისა და ახალშობილის სეპარაციის პროცესი, უშუალოდ საოპერაციოში. ამგვარად აირიდებთ ჩვილის ინფიცირებას.
- უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარება, პაციენტის მკურნალობის თითოეული ეტაპის სიმულაცია (დამცავი ტანსაცმლის და ეკიპირების შემოსვა/განმოსვა, პაციენტის მიღება სამშობიარო ოთახში, მისი ტრანსპორტირება საოპერაციოსკენ და ოპერაციის-შემდგომი მართვა)
- შექმენით სპეციალური COVID - კომპლექტები სადაც იქნება ყველა საჭირო ხელსაწყო, მედიკამენტი, სახარჯი მასალა. ამგვარად შევინარჩუნებთ ზოგად სტერილობას, საოპერაციო ოთახისა და სამშობიარო სივრცის შესაძლო დაბინძურებას (მნიშვნელოვანია თავიდან ავირიდოთ მედიკამენტების საწყობთან ხშირი ურთიერთობა და ხშირი მიმოსვლა ოთახებს შორის)
- მაქსიმალურად შეზღუდეთ ვიზიტორებისა და დამხმარე ადამიანების რიცხვი.

სამეანო ანესთეზიაში გასათვალისწინებელი ფაქტები, COVID პაციენტებთან მუშაობისას

- მოცემული რეკომენდაციები ეძლევა ანესთეზიოლოგთა გუნდს რომელიც მუშაობს დადასტურებულ COVID ინფექციის მქონე, ან საეჭვო პაციენტებთან. მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება პაციენტების უსაფრთხოების ფონდის ცოდნას (Anesthesia Patient Safety Foundation)
 1. მშობიარე მოათავსეთ უარყოფითი წნევით ვენტილაციის მქონე ოთახში და მაქსიმალურად შეზღუდეთ მასთან მომუშავე მედ-პერსონალის (თუ დამხმარე პირის) რაოდენობა
 2. თითოეული პირი, ვინც შედის მოცემულ ოთახში, უნდა შეიმოსოს სათანადო აღჭურვილობით (ერთჯერადი ხალათი, ხელთათმანები, ნიღაბი და სახის დამცავი) ე.წ Droplet and Contact precaution სტანდარტით. **იხილეთ შენიშვნა ნიშნით ***
 3. როგორც წესი აღჭურვილობის შემოსვას და მოცილებას დრო სჭირდება, გაითვალისწინეთ სამშობიარო სახლისათვის დამახასიათებელი ურგენტული მოვლენები. მიიღეთ ზომები ამგვარი შესაძლო სცენარების სამართავად, დაგეგმეთ მშობიარობის პროცესი.
 - სასურველია ადრეულ ეტაპზე დაყენდეს ეპიდურული ანალგეზია, რაც დაგვეხმარება ურგენტული საკეისრო კვეთის შემთხვევაში. ეპიდურული ანალგეზია ჩაანაცვლებს ინტუბაციის აუცილებლობას.
 - COVID-19 ინფექცია არ არის ეპიდურული/სპინალური ანალგეზიის უკუჩვენება.

- მაქსიმალურად შეეცადეთ თავიდან აირიდოთ ურგენტული საკეისრო კვეთები.
 - თუ პაციენტს განუვითარდა რესპირატორული დისტრესი, დააინტუბირეთ ადრეულ სტადიაზე.
 - ინტუბაციისას გამოიყენეთ სათანადო დამცავი აღჭურვილობა.
 - უმჯობესია საჭირო პროცედურები (ეზიდურული ან სპინალური ანალგეზია, ინტუბაცია) შეასრულოს ყველაზე გამოცდილმა ანესთეზიოლოგმა გუნდში.
 - შეეცადეთ მაქსიმალურად შეამციროთ საპროცედუროში მყოფთა რიცხვი.
4. საოპერაციოში შესვლამდე (მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი ტიპის ანესთეზიას ვგეგმავთ კონკრეტულ მშობიარესთან);
- ანესთეზიოლოგი და მისი დამხმარე პირი უნდა შეიმოსონ სათანადო აღჭურვილობით; ე.წ Droplet and Contact სტანდარტით. დაიცავით სახე სპეციალური ფარით და მოემზადეთ ჰაერ-გადამდები ინფექციებისგან დამცავი ეკიპირების სტანდარტით (ერთჯერადი ხალათი, ხელთათმანები, უმჯობესია N-95 ხარისხის ნილაბი, ან ჰაერ-გამწმენდი რესპირატორი)
 - შეიმოსვა და განმოსვა უნდა მოხდეს დამკვირვებლის თანხლებით. შეიმოსეთ ორმაგი ხელთათმანით და ინტუბაციის დასრულების შემდეგ გამოიცივალეთ გარეთა წყვილი.
5. ზოგადი ანესთეზიის შემთხვევაში, ინტუბაციის პროცესში ოთახში მყოფი გუნდის თითოეულ წევრს უნდა ეკეთოს N-95 ნილაბი. ჰაერ-გადამცემი ინფექციისთვის საჭირო აღჭურვილობა (ანუ N-95 ნილაბი+სახის დამცავი ფარი) ესაჭიროება მხოლოდ ინტუბაციის პროცესში ჩართულ მედ-პერსონალს. მიაქციეთ ყურადღება დამხმარე გუნდის არსებობას - ჩართეთ ისინი საქმეში მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.
- პრე-ოქსიგენაცია უმჯობესია ჩატარდეს საანესთეზიო აპარატის სასუნთქი სისტემით, HEPA ფილტრი მოათავსეთ ნილაბსა და სასუნთქ კონტურს შორის, ისე რომ პაციენტის ჩასუნთქულმა და ამოსუნთქულმა ჰაერმა გაიაროს მოცემულ ფილტრში.
 - სანაციისთვის სასურველია გამოიყენოთ დახურული სისტემა

- სასურველია ინტუბაცია ჩატარდეს პირველივე ცდაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ვენტილაციის საჭიროება. **იხილეთ განხილვა ნიშნით ****
 - სასურველია ვიდეო-ლარინგოსკოპის გამოყენება (ხელმისაწვდომობის მიხედვით)
 - ექსტუბაცია - ინტუბაციაზე მეტად შეიცავს COVID ვირუსის გავრცელების რისკებს. ამ ეტაპზე შეამციროთ ოთახში მყოფი პერსონალის რაოდენობა, გამოიყენეთ N-95/რესპირატორი და სხვა დამცავი სამოსი. პაციენტი დაექსტუბირეთ საოპერაციოში, ნუ განიმოსებით მანამ, სანამ არ დარწმუნდებით რომ პაციენტის საჰაერო გზები დაკულია, ის ექვემდებარება უსაფრთხო ტრანსპორტს.
 - ასევე შეგიძლიათ პაციენტი გადაიყვანოთ ინტენსიური თერაპიის ბლოკში ან სხვა უარყოფითი წნევით აღჭურვილ ოთახში და იქ გააკეთოთ ექსტუბაცია.
6. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოგვინოვებს, რესურსები გამოვიყენოთ მაქსიმალური რაციონალობით. N-95 სტანდარტის ნიღბები სასურველია გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთი პროცედურების დროს, როცა მაღალია აეროზოლის წარმოქმნისა და ჰაერში გამოფრქვევის რისკი (აეროზოლი - როგორც მიკრო სითხოვანი ნაწილაკი, რომელიც წარმოიშვება ხველება-ცემინებისას და არის ვირუსის გავრცელების მთავარი გზა). ამის მაგალითია ენდოტრაქეალური ინტუბაცია. გარდა ამისა, ყველა სამედიცინო ცენტრს უნდა ქონდეს ნიღბების, აღჭურვილობის გამოყენებისა და შემოსვა-განმოსვის შიდა განაწესი, თუ როგორი ეკიპირება გამოიყენება ამა თუ იმ სპეციფიური პროცედურისა და მდგომარეობის შემთხვევაში.
 7. დამცავი სამოსის და აღჭურვილობის ჩაცმას დრო სჭირდება, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ჯგუფების არსებობა, რათა მოხდეს დროის კარგვის მინიმალიზაცია.
 8. სამშობიაროები, რომლებიც მოიხმარენ მალხენ აირს - მოცემული დოკუმენტი გვამცნობს, რომ მათ არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ამ აირის გამოყენების შემთხვევაში, ჰაერის დაბინძურების, ზოგადად ჰაერში გაფრქვეული ნაწილაკების შესაძლო უარყოფითი ეფექტის შესახებ. დოკუმენტი მოუწოდებს ყველა სამედიცინო ცენტრს, კარგად განიხილონ სარგებლისა და ზიანის შესაძლო თანაფარდობა და ისე გადანაწილონ მალხენი აირის სისტემის გამოყენება/არ გამოყენების საკითხი.
 9. დავობენ არასტეროიდული ანალგეტიკების გამოყენების საკითხზე, წაშლის თუ არა ეს მედიკამენტები COVID-19 ინფექციის ნიშნებს. გააუარესებს თუ არა არასტეროიდული ანთებისსანინალმდეგო მედიკამენტების გამოყენება

(პოსტპარტუმ გამოყენებაზე საუბარი, ცხადია) COVID-19 დადებითი პაციენტების ზოგად მდგომარეობას. თუ პაციენტს არ აქვს ვირუსული ინფექციის სიმპტომები, ითვლება რომ არასტეროიდული პრეპარატების გამოყენება უსაფრთხოა.

10. ღებინების სანინალმდგომარეობის გამოყენება საკეისრო კვეთისას ზოგადად კარგ შედეგებს იძლევა. მაგრამ რჩევაა მოერიდოთ დექსამეტაზონის გამოყენებას (პოსტოპერაციული ღებინების საპროფილაქტიკოდ) რათა თავიდან ავირიდოთ შესაძლო იმუნოსუპრესიული ეფექტი COVID დადებით, ან შესაძლო დადებით პაციენტებში.

თარგმანი: ალექსი ვაჩაძე

იერუსალიმი, ისრაელი

შენიშვნა * Droplet and Contact Precautions –

Contact იგულისხმება: თავიდან ავიცილოთ 1) პაციენტის ოთხაში ზედაპირებთან და საგნებთან შეხება 2) პაციენტის სანოლთან და სხვა აღჭურვილობასთან შეხება 3) პაციენტთან შეხება

Droplet - თუ პაციენტს აქვს დაავადება, რომელიც ვრცელდება აეროზოლით (დახველებისას წარმოქმნილი მიკრო-წვეთები, რომელშიც უხვად არის დაავადების გამომწვევი ორგანიზმი- ვირუსი, ბაქტერია, პარაზიტი) ასეთ დროს ვიყენებთ ნიღაბს, ერთჯერად ხალათს, ხელთათმანებს; გარდა ამისა ვიცავთ დისტანციას, რადგან აეროზოლის მაქსიმალური დაფარვა ვრცელდება დაახლოებით 1.5 მეტრზე.

შენიშვნა ** ინტუბაციის მეთოდი ორსულებში, არა-საკეისრო ოპერაციისა და საკეისრო კვეთისთვის: ქალებში რომელთა ფეხმძიმობის ასაკი აღემატება 18-20 კვირას, ზოგადი ანესთეზიის ჩასატარებლად, ინტუბაცია უნდა შესრულდეს ე.წ სწრაფი-თანმიმდევრული-ინტუბაციის მეთოდით (Rapid Sequence Intubation)